Research

# სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

**ოქტომბერი 2025**

- **2025 წლის ოქტომბერში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი შემცირდა 9.6%-ით წინა თვესთან შედარებით; ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა აჭარაში, გურიასა და კახეთში.**
- **2025 წლის ოქტომბერში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი შემცირდა 2.3%-ით წინა წელთან შედარებით; ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში.**
- **ოთახის საშუალო ფასი 2025 წლის ოქტომბერში მერყეობდა 100 ლარიდან 442 ლარამდე.**

## სასტუმროების საშუალო ფასები

2025 წლის ოქტომბერში სასტუმროების საშუალო ფასმა[1] საოჯახო ტიპის სასტუმროებში[2] **100 ლარი შეადგინა**, 3-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **153 ლარი**, ხოლო 4-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **237 ლარი**. 3-ვარსკვლავიანი, 4-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით მოცემულია გრაფიკი 1-ზე.

2025 წლის ოქტომბერში საქართველოში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი იყო **442 ლარი**. ყველაზე მაღალი საშუალო ფასები დაფიქსირდა თბილისში - **659 ლარი**, კახეთში - **584 ლარი** და შიდა ქართლში - **488 ლარი**.




**გრაფიკი 1**: 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2025 წლის ოქტომბერში, ლარში)

## სასტუმროს ფასების ინდექსი

2025 წლის ოქტომბერში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 8.9%-ით შემცირდა წინა თვესთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი - 10.6%-ით. მთლიანობაში, 2025 წლის ოქტომბერში სასტუმროს ფასების ინდექსი 9.6%-ით შემცირდა 2025 წლის სექტემბერთან შედარებით.

2025 წლის ოქტომბერში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.2%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი - 0.3%-ით. მთლიანობაში, 2025 წლის ოქტომბერში სასტუმროს ფასების ინდექსი 2.3%-ით შემცირდა 2024 წლის ოქტომბერთან შედარებით.

| რეგიონი[4] | 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი | | საოჯახო ტიპის | | ყველა სასტუმრო | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ოქტომბერი/ თვიური(%) | ოქტომბერი/ წლიური (%) | ოქტომბერი/ თვიური(%) | ოქტომბერი/ წლიური (%) | ოქტომბერი/ თვიური(%) | ოქტომბერი/ წლიური (%) |
| კახეთი | -7.5% | -5.5% | -15.2% | -13.4% | -11.8% | -11.0% |
| იმერეთი | -7.8% | 1.0% | -16.9% | -17.4% | -10.9% | -8.6% |
| გურია | -23.9% | - | -1.9% | - | -13.6% | - |
| ქვემო ქართლი | 7.8% | - | - | - | -2.7% | - |
| აჭარა | -19.6% | -1.8% | -12.9% | 0.1% | -18.5% | -1.4% |
| რაჭა | -3.1% | - | 0.5% | - | -1.3% | - |
| შიდა ქართლი | -6.3% | -18.4% | -9.8% | -1.0% | -8.0% | -8.9% |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | -9.0% | -10.6% | -6.3% | -12.1% | -7.8% | -11.4% |
| სამცხე-ჯავახეთი | -6.0% | 8.0% | -10.9% | -13.5% | -7.9% | -1.2% |
| მცხეთა-მთიანეთი | -3.4% | -14.1% | -8.5% | -12.0% | -5.0% | -13.1% |
| თბილისი | -2.6% | 2.0% | -8.0% | 9.8% | -3.7% | 2.5% |
| **სულ ფასების % ცვლილება** | **-8.9%** | **-1.2%** | **-10.6%** | **-0.3%** | **-9.6%** | **-2.3%** |

**ცხრილი 1:** თვიური და წლიური ინდექსების ცვლილება (2025 ოქტომბერი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვებით. ანალიზში შედის booking.com-ზე რეგისტრირებული სტრატიფიცირებულად არჩეული 571 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და 368 საოჯახო ტიპის სასტუმრო. საშუალო ფასები გამოითვლება მიმდინარე თვეში ხელმისაწვდომი სასტუმროების საშუალებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უნევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსი გამოითვლება მიმდინარე და საბაზისო პერიოდში ხელმისაწვდომი სასტუმროების მიხედვით, სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით (CPI: "Theory and Practice", 2004; Practical Guide, 2009).

4 ინდექსები არ არის ნაჩვენები ისეთი რეგიონებისთვის, რომლებისთვისაც მონაცემები მიუწვდომელი ან არასაკმარისია. თუმცა, ყველა მონაცემი გათვალისწინებულია მთლიან რეგიონულ ინდექსში.